23/10/2023

წმინდა საყდრის დესპანი საქართველოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდა

ელჩობის ვადის გასვლის გამო, ამ დღეებში საქართველოს დატოვებს წმინდა საყდრის დესპანი და დიპლომატიური კორპუსის დუაიენი, მისი აღმატებულება, ჟოზე ა. ბეტანკური.

ხუთშაბათს, 19 ოტომბერს, იგი დასამშვიდობებლად ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს და თავისი პატივისცემა კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია II–მ მადლობა გადაუხადა ელჩს ჩვენს ქვეყანაში გაწეული ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და შემდგომი წარმატებები უსურვა.

patriarchate.ge